

საქართველოს კანონი  
„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების  
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N21-22, 31 მაისი, 1997, გვ. 15) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის 22–ე მუხლის მე–5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) წარმოადგინოს მზღვეველის ყველა ადმინისტრატორისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერის დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ ეს პირები:

ვ.ა) სასამართლომ არ ცნო ქმედუუნაროდ;

ვ.ბ) არ არიან ნასამართლევი უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისათვის ან/და ტერორიზმის დაფინანსებისათვის;

ვ.გ) არ არიან ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის ან/და სამეწარმეო ან ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაულისათვის;

ვ.დ) ამავე დროს არ არიან სხვა მზღვეველის ადმინისტრატორები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ უკავიათ ადმინისტრატორის თანამდებობა ამ სადაზღვევო ორგანიზაციის/გადამზღვეველი კომპანიის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სადაზღვევო ორგანიზაციაში ან გადამზღვეველ კომპანიაში ანდა იმ სადაზღვევო ორგანიზაციაში/გადამზღვეველ კომპანიაში, რომლის კონტროლსაც ექვემდებარება მოცემული სადაზღვევო ორგანიზაცია/გადამზღვეველი კომპანია;“

2. კანონის 28–ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5<sup>1</sup> პუნქტი:

„5<sup>1</sup>. ადმინისტრატორის ცვლილების შემთხვევაში მზღვეველი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წარუდგინოს ამ კანონის 22–ე მუხლის მე–5 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია“

3. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 28<sup>1</sup> მუხლი

„მუხლი 28<sup>1</sup>. მზღვეველის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ ფილიალის დაარსება ან შვილობილი საწარმოს შექმნა ან შექმნა

მზღვეველის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონიტორინგის განმხორციელებელი პირებისათვის

კანონმდებლობით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით, ფილიალის დაარსებისა ან შვილობილი საწარმოს შექმნიდან ან შექმნიდან 14 დღის ვადაში, საქართველოს ეროვნულ ბანკში წარდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები:

ა) მზღვეველის მმართველი ორგანოს გადაწყვეტილება ფილიალის დაარსებაზე ან შვილობილი საწარმოს შექმნაზე ან შექმნაზე;

ბ) მზღვეველის მმართველი ორგანოს განცხადება იმის თაობაზე, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის (FATF) რეკომენდაციების შესრულების მიზნით, ფილიალს ან შვილობილ საწარმოს, ფუნქციონირების დაწყებისთანავე, შემუშავებული აქვთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ფილიალის ან შვილობილი საწარმოს ადგილსამყოფელ უცხო ქვეყანაში მოქმედი კანონები და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები არ ითვალისწინებენ ფილიალის ან შვილობილი საწარმოს მიერ FATF-ის რეკომენდაციების შესრულებას, ან იმ ქვეყანაში არ ხორციელდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ ან საკმარისად არ სრულდება FATF-ის რეკომენდაციები:

გ.ა.) მზღვეველის მმართველმა ორგანომ უნდა აიღოს წერილობითი ვალდებულება, რომ მზღვეველი უზრუნველყოფს მისი ფილიალის ან შვილობილი საწარმოს მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით დადგენილი ღონისძიებების გატარებას მზღვეველისადმი საქართველოში არსებული მოთხოვნებისა და FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად;

გ.ბ.) მზღვეველი უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, რომ მისი ფილიალი ან შვილობილი საწარმო ვერ ახორციელებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, იმის გამო, რომ ამას კრძალავს ან ზღუდავს ადგილსამყოფელი უცხო ქვეყნის კანონმდებლობა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*